



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4923080001

თარიღი:21/03/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის  
განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი  
სპეციალისტის ხათუნა კვაბჭირიძის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ხათუნა კვაბჭირიძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ნება დაერთოს ისარგებლოს გამოუყენებელი **2022** წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 11 სამუშაო დღე, 2023 წლის 3 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით.
2. არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნაზი ბენიძეს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო და დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის სახელფასო დანამატის გაცემა კანონდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



